,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში
სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის
29 მარტის N02 გადაწყვეტილების
დანართი N1
(კოდიფიცირებული შემდეგი ცვლილებებით: N01, 29.04.2013 წ;
N07-01/105, 18.12.2020 წ)

ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ბსუ) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს. (ცვლილება N07-01/105, 18.12.2020 წ)

მუხლი 2.

1. სტაჟირების მიზანს წარმოადგენს კადრების მომზადება.

2. სტაჟირების მიზნის მისაღწევად, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის უზრუნველსაყოფად ბსუ ახალგაზრდა სპეციალისტებს უქმნის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

მუხლი 3.

მოთხოვნას სტაჟიორთა რაოდენობის თაობაზე ბსუ-ს ადმინისტრაციას წარუდგენენ ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საჭიროების მიხედვით.

თავი II. სტაჟირების კომისია

მუხლი 4.

1. სტაჟიორთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით, რომელსაც ატარებს დამსაქმებლის (რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) მიერ შექმნილი სტაჟირების კომისია (შემდგომში – კომისია). დამსაქმებელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის კონკურსის გარეშე სტაჟიორად დანიშვნის თაობაზე.

2. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამსაქმებელი. კონკურსი ტარდება გასაუბრების ან/და ტესტირების ფორმით. კონკურსის ფორმას

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიის წარდგინებით ადგენს დამსაქმებელი, რაც აღინიშნება კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებაში.

3. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 3 წევრისგან, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს დამსაქმებელი. კომისიის წევრები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე.

4. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

5. კომისიის მდივანი აწარმოებს კონკურსთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას (გარდა სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაციისა), ადგენს ოქმებსა და სხვა შესაბამის მასალას.

6. კონკურსის თემატიკას შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით ამტკიცებს დამსაქმებელი.

7. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

8. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და დამსწრე წევრები.

10. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

თავი III. კონკურსის გავლა, სტაჟიორის მიღება და სტაჟირების გავლის ვადები

მუხლი 5.

1. ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულში სტაჟიორად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო განათლება/კვალიფიკაცია (ბსუ-ს კურსდამთავრებულია ან ბსუ-ს მაგისტრანტი) ან სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ მე-3 სასწავლო წლის სტუდენტია (ათვისებული აქვს არანაკლებ 120 კრედიტი). (ცვლილებები - N01, 29.04.2013 წ; N07-01/105, 18.12.2020 წ)

2. დამსაქმებელი უფლებამოსილია, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი გამოაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ბსუ-ს მე- 3 ან/და მე-4 სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ან/და მაგისტრანტებისათვის ან/და კურსდამთავრებულებისათვის. (ცვლილება - N01, 29.04.2013 წ;

მუხლი 6.

1. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტაჟიორობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ **(დანართი 1);**

ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ნიშნების ფურცლის ასლთან ერთად ან დიპლომის ასლი, თუ კანდიდატს აქვს უმაღლესი განათლება;

დ) ერთი ფოტოსურათი (3X4);

ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

2. დამსაქმებლის ბრძანებით განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის ჩამონათვალი (მათ შორის კონკურსანტის განაცხადის ფორმა შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით ველებს), მათი წარმოდგენის ვადა, კონკურსის ეტაპები (გასაუბრება ან/და ტესტირება), კონკურსის შედეგების გამოქვეყნების ვადა და სტაჟირების გავლის პირობები. (ცვლილება N07-01/105, 18.12.2020 წ)

მუხლი 7.

1. გადაწყვეტილებას კონკურსის წარმატებით გავლის შესახებ იღებს კომისია. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კონკურსზე მოიწვიოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ან შესაბამისი დარგის სხვა მოსამსახურე.

2. კომისიის წარდგინების საფუძველზე, დამსაქმებელი გამოსცემს კანდიდატის სტაჟიორად დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ბრძანებით. ბრძანებაში მიეთითება ასევე სტაჟირების ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს სტაჟირების გავლის პროცესს. ხელმძღვანელად, როგორც წესი, ინიშნება შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.

მუხლი 8.

1. სტაჟირების ვადა, როგორც წესი, განისაზღვრება 2 თვით. დამსაქმებლის მიერ პირის კონკურსის გარეშე სტაჟიორად დანიშვნისას, სტაჟირების ვადა განისაზღვრება დანიშვნის ბრძანებით.

2. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ სტაჟიორთან გასაუბრებას და შეფასებას ახორციელებენ სტაჟირების ხელმძღვანელი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომლებიც გასაუბრების შედეგებს აწვდიან დამსაქმებელს.

3. გასაუბრების შედეგად მიიღება ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შესახებ;

ბ) სტაჟირების შედეგების უარყოფითი შეფასების შესახებ.

4. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების გავლის სერტიფიკატი, რომლის ფორმა მტკიცდება დამსაქმებლის ბრძანებით.

5. სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ, სტაჟიორის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია მასთან არაუმეტეს 6 თვის ვადით, სამუშაო კონტრაქტის გაფორმება (თვეში არაუმეტეს 500 ლარის ანაზღაურებით.

6. სტაჟიორთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადის (არაუმეტეს 6 თვის) გასვლის შემდეგ, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია გაფორმდეს შეთანხმება შრომითი ურთიერთობის ვადის გახანგრძლივების თაობაზე/გაფორმდეს ახალი შრომითი ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში შრომის პირობები და შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. (ცვლილება N07-01/105, 18.12.2020 წ)

თავი IV. სტაჟირების საერთო პირობები

მუხლი 9.

1. ბსუ სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

2. სტაჟიორის ხელმძღვანელი უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას, აკონტროლებს მის მიერ ამ წესითა და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მისი უფლებების განხორციელებას.

3. ხელმძღვანელი ვალდებულია სტაჟიორს მისცეს შესასრულებელი სამუშაოს მიმართულება და განუსაზღვროს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს დაწესებულების და სტაჟიორის საქმიანობასთან დაკავშირებით დროული და სწორი ინფორმაცია.

მუხლი 10.

სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) გაეცნოს დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც მოცემულ სფეროს მიეკუთვნება და გამოიყენოს მათი კვალიფიციური ცოდნა დაკისრებული დავალებების შესრულებისას;

მუხლი 11.

1. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) სტაჟიორად დანიშვნიდან არაუგვიანეს ორი კვირისა საფუძვლიანად გაეცნოს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას;

ბ) უფლებამოსილების განხორციელებისას განუხრელად იხელმძღვანელოს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

გ) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა კანონიერი დავალება, რომელიც მას დაეკისრება ხელმძღვანელის მიერ;

დ) იქონიოს კონტაქტი იმ დაწესებულების პერსონალთან, სადაც გადის სტაჟირებას;

ე) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. ხელწერილი დაწესებულების შინაგანაწესისა და საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობის გაცნობის შესახებ თან ერთვის სტაჟიორის პირად საქმეს.

3. კონტროლს სტაჟიორის მიერ მისი მოვალეობების შესრულებაზე ახორციელებს სტაჟიორის ხელმძღვანელი.

მუხლი 12.

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება.

ბ) ამ წესის დადგენილი სხვა შესაბამისი ნორმების დარღვევა;

გ) არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში სტაჟიორის შესაბამის ქვედანაყოფში გამოუცხადებლობა;

დ) სტაჟიორის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამსაქმებელი საკუთარი ინიციატივით ან სტაჟიორის ხელმძღვანელის ან მისი ზემდგომი უფროსის წინადადების საფუძველზე.

ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის დანართი 1
(ცვლილება N07-01/105, 18.12.2020 წ)

განაცხადი სტაჟირებაზე

1. კონკურსანტის სახელი და გვარი ----------
2. დაბადების თარიღი ----------
3. მოქალაქეობა ----------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------
5. საცხოვრებელი ადგილი (მისამართი) ----------
6. ტელეფონი, ელექტრონული
ფოსტა ----------

---

7. მიუთითეთ ის **სტრუქტურულ ერთეული,** რომელშიც გსურთ სტაჟირების გავლა და რომელ ცვლაში **(პირველ ცვლაში:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9^{00}სთ - 13^{00}სთ-ებში თუ **მეორე ცვლაში:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 14^{00}სთ - 18^{00}სთ-ებში.):

---

8. **განათლება** (მიუთითეთ სად და რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ ან დაასრულეთ სწავლა)

საგანმანათლებლო დაწესებულება	სწავლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამა	სწავლების წლები	სტუდენტის სტატუსი ამჟამად (აქტიური/შეჩერებული/კურს დამთავრებული	მიღებული აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით)

9. **მიუთითეთ, თუ რომელ უცხო ენას ფლობთ და რა დონეზე** (სუსტად, საშუალოდ, კარგად თუ სრულყოფილად).

უცხო ენა	კითხვა	წერა	მეტყველება

10. **კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:**

---

11. **მიღებული გრანტები და სტიპენდიები:**

გრანტის/სტიპენდიის გამცემი/მასპინძელი ორგანიზაცია/ დაწესებულება	გრანტის/სტიპენდიის მიღების პერიოდი (წლები)	სხვა ინფორმაცია

12. **შრომითი გამოცდილება:**

დამსაქმებელი ორგანიზაცია	დაკავებული თანამდებობა/პოზიცია	დამსაქმებელი ორგანიზაციის მისამართი/ვებგვერდი	დასაქმების პერიოდი

13. **კონკურსანტის სამოტივაციო განაცხადი** (უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: რა პროფესიული მიზნები გაქვთ? რა როლს ითამაშებს სტაჟირება აღნიშნული მიზნების მისაღწევად? რატომ აირჩიეთ ამ განაცხადში მითითებული სტრუქტურული ერთეული სტაჟირებისათვის? რა წვლილს შეიტანთ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის (უნივერსიტეტის) საქმიანობაში?)

განაცხადის შევსების თარიღი ----------

კონკურსანტის ხელმოწერა ----------